მისია

კოლეჯის მისიაა განახორციელოს ქვემო ქართლის რეგიონში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მრავალი პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და დასაქმების შესაძლებლობას და იზრუნოს რეგიონის მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციისთვის

ხედვა

2025 წლისათვის შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი იქნება ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის კურსდამთავრებულები იქნებიან წარმატებულად დასაქმებულები და ინტეგრირებულები სამოქალაქო საზოგადოებრივ ცხოვრებაში

ღირებულებები:

- ✓ **პროფესიონალიზმი**- კოლეჯი წარმატებულია თუ მისი გუნდი შედგება პროფესიონალებისგან;
- ✓ **გუნდურობა**- კოლეჯის წარმატებების მიღწევის, სამუშაო პროცესის დახვეწისა და სასიამოვნო სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებისათვის გუნდურობა აუცილებელია.
- ✓ **თანასწორობა**-კოლეჯის ადმინისტრაციისათვის, პროფესიული მასწავლებლებისათვის და პროფესიული სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია თანაბარი შესაძლებლობები სწავლის, სწავლებისა და მუშაობა განვითარებისათვის;
- ✓ **გამჭვირვალობა და ღიაობა**-კოლეჯში მიმდინარე პროცესები არის გამჭვირვალე და მზადაა ღიად ითანამშრომლოს ყველასთან.
- ✓ **განვითარებაზე ორიენტირებულობა**- კოლეჯი მუდმივად ეძებს თავის სუსტ მხარეებს და სახავს გზებს მათ აღმოსაფხვრელად.
- ✓ **ტოლერანტობა**-კოლეჯის კარი ღიაა განსხვავებული მსოფლაღქმის, ცხოვრების წესის, ქცევისა და ჩვეულებების პირთათვის..